ოქმი №10

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე

სხდომისა

აბაშა, 2026 წლის 22 აპრილი

ოქმი №10

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომისა

აბაშა, 2026 წლის 22 აპრილი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ი. კიზირია
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: პ. ხოშტარია, ზ. მაკალათია, მ. კვიტაშვილი, შ. ჯღარკავა, ზ. ნოდია, ზ. გუგუშვილი, დ. ცანავა, გ. ქოიავა, რ. კაჭარავა და ვ. ავალიანი.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - თამაზ შოთაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. შ. ჯღარკავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

   მომხს. ი. კიზირია

1

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. შ. ჯღარკავა

მომხსენებელმა შ. ჯღარკავამ ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

შ. ჯღარკავამ განმარტა, რომ კომისიის სხდომაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსის ქ. ცომაიას მონაწილეობით გასწორდა ბიუჯეტის პროექტში დაშვებული მექანიკური შეცდომა. კერძოდ 05.01.05. კოდით გათვალისწინებული პროგრამის აბაშის, მარტვილის და სენაკის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის განმახორციელებელი იურიდიული პირი ა(ა)იპ „რაგბის განვითარების კლუბი ჯიხას“ დაფინანსების თანხა ლარში ნაცვლად 18.5 მიეთითა 150.0 .

აზრი გამოთქვა: ი. კიზირიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი - „აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ა. კაჭარავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარე ი. კიზირიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნეს 2026 წლის 23 აპრილს დილის 11 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 აპრილის რიგგარეშე №5 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. ი. კიზირია

2 „აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ა. კაჭარავა

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: ი. კიზირია